ოჯახში ძალადობა, მისი გამოვლენის ფორმები. მოძალადის აღქმა

ქალთა მიმართ ძალადობის რისკების ინდიკატორის“ კვლევის შედეგების მიხედვით[1]

მოკლე შეჯამება

ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ, 2024 წლის მარტი-მაისის პერიოდში, „ქალთა მიმართ ძალადობის რისკების ინდიკატორის“ შესწავლის მიზნით, განხორციელებული კვლევის ფარგლებში, **10 სამიზნე მუნიციპალიტეტში - ზუგდიდი, წალენჯიხა, სენაკი, წყალტუბო, ხონი, ქუთაისი, ბაღდათი, ჩოხატაური სამტრედია, ქობულეთი, რაოდენობრივი კვლევის მეთოდით გამოიკითხა 1027 რესპონდენტი (ქალი).**

ოჯახში ძალადობა აღიარებულია როგორც ძალადობა ოჯახის წევრის მიმართ, რომელიც ატარებს იძულებით, მაკონტროლებელ, მუქარის ხასიათს. აღნიშნული პრობლემა კომპლექსურია და ძირითადად მიმართულია **ქალებისა და ბავშვებისადმი.**

კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებს შეფასებული აქვთ: (i) ძალადობის რომელი ფორმაა უფრო გავრცელებული; (ii) ძირითადად ვინ გვევლინება ოჯახში მოძალადის „როლში“, და (iii) რომელია ოჯახში ძალადობის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები (მიზეზები).

გენდერული ძალადობა არ არის იზოლირებული პროცესი/ქმედება, არამედ დაკავშირებულია იმ რისკებთან, რომელსაც შეიცავს გარემო/კონტექსტი. გარემო ჯერ კიდევ არ არის გენდერულად სენსიტიური, ქალს მიეწერება თმენის ვალდებულება (ნებისმიერ ფასად შეინარჩუნოს ოჯახი, შვილების გამო), დომინანტურ როლში - მემკვიდრეობის მთავარი „მიმღები“, ოჯახის უფროსი და მარჩენალი ცალსახად მამაკაცია, ხოლო ქალს უმეტესწილად სუბორდინირებული როლი აქვს მიკუთვნებული, რაც განამტკიცებს ქალის ჩაგვრას. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც თავად ძალადობის მსხვერპლი ვერ აცნობიერებს ძალადობის ფაქტს და მის მიმართ დამამცირებელი მოპყრობა ნორმად მიაჩნია.

შესაბამისად, სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების შემუშავებისას, მნიშვნელოვანია საზოგადოების და თავად ქალების ცნობიერების ამაღლება და ქალთა მიმართ ძალადობის მიმართ შეურიგებლობის და მიუღებლობის გრძნობის გაზრდა, მოძალადის და ძალადობის რისკ-ოჯახების დროული იდენტიფიცირება, ასევე ძალადობის საფრთხეებისა და რისკების გამოვლენა და გაანალიზება, და მათი აღმოფხვრის შესაბამისი სტრატეგიების ინტეგრირება შესაბამის პოლიტიკურ დოკუმენტებსა და პროგრამებში.



მიგნებები

- როგორც 2023, ასევე 2024 წელს, ყველაზე ხშირად, ოჯახში მოძალადის როლში გვევლინება ქმარი (საშ. მაჩვენებელი=4.0; 4.1). ქმრის ფაქტორი იმდენად ცალსახადაა გამოკვეთილი, რომ ჩამონათვალში არსებული ოჯახის სხვადასხვა სტატუსის მქონე პირები დაბალი შეფასების ველში მოექცნენ. (იხ.ცხრილი #1)
- როგორც 2023, ასევე 2024 წლებში, კვლევაში მონაწილე რესპონდენტები (ქალები) ძირითადად ფსიქოლოგიური ძალადობის გამოვლენას უსვამენ ხაზს);
- ფიზიკური და ეკონომიკური ძალადობის შესახებ არცთუ მცირე მაჩვენებელი დაფიქსირდა (83.6% - 2023წ.; 73.5% – 2024წ.);
- 2024 წელს, ეკონომიკური ძალადობის მაჩვენებელი შემცირებულია (35.7%) 2023 წელთან შედარებით (56.3%);
- ოჯახში ძალადობის ძირითად მიზეზებს შორის 2023 წელს, წამყვანი ტენდეცია ნივთიერებაზე დამოკიდებულება იყო (დაახლ. 47-51%%), ხოლო 2024 წელს - რთული ეკონომიკური მდგომარეობაა (Mean = 3.8). თუმცა, შედეგების მიხედვით, მიმდინარე წელს ნივთიერებაზე დამოკიდებულება რიგით მეორე მიზეზად არის დასახელებული.
- საკმაოდ დამაფიქრებელი მაჩვენებელი აქვს სექსუალურ ძალადობას (დაახლ. 16%). ძალადობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა კვლევებთან შედარებით მაჩვენებელი თვალშისაცემად გაზრდილია, რასაც ორი ფაქტორი განაპირობებს: 1. მოცემულ კვლევაში ჩართული არიან მხოლოდ ქალები; 2. დროთა განმავლობაში მეტი ადამიანი აცნობიერებს სექსუალური ძალადობის არსს, ახდენს მის იდენტიფიცირებას და არ გაურბის აღიარებას. (იხ. დიაგრამა #1)

https://sosfsokhumi.ge/map

ცხრილი №1

ოჯახში ვინ უფრო ხშირად მიმართავს ძალადობრივ ქმედებებს?	საშუალო მაჩვენებელი	
	2023	2024
ქმარი	4.0	4.1
ცოლი	2.28	2.3
მამა	2.4	2.4
მამამთილი	2.39	2.4
დედა	2.1	2.1
დედამთილი	2.4	2.5
ვაჟი	2.25	2.2
ქალიშვილი	2.0	2.07
ძმა	-	2.2
და	-	2.02

დიაგრამა №1



ცხრილი №2

რა არის ოჯახში ძალადობის ძირითადი მიზეზი? 2024 წ.	საშუალო მაჩვენებელი
რთული ეკონომიკური მდგომარეობა	3.8
უმუშევრობა	3.2
ნარკოტიკულ ნივთიერებაზე დამოკიდებულება (ოჯახის წევრის)	3.4
ალკოჰოლზე დამოკიდებულება (ოჯახის წევრის)	3.5
ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები (ოჯახის წევრის)	3.2
ქალების, მამაკაცების და ბავშვების შესახებ ტრადიციული შეხედულებები, რაც გულისხმობს, რომ მამაკაცი არის ოჯახის უფროსი, რომელიც აღჭურვილია „განსაკუთრებული“ უფლებებით	3.3
მედიის გავლენა, სადაც ხდება პიროვნებაზე ძალადობის სცენების, ტერორისტული და ვანდალიზმის აქტების, სადიზმის და ა.შ. დემონსტრირება	3.2
ქვეყანაში არსებული რთული პოლიტიკური მდგომარეობა/არასტაბილურობა	3.1

დიაგრამა №2



რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ე ბ ი

ეკონომიკური გაძლიერება:

- ქალების/მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების ეკონომიკური გაძლიერება, დასაქმების ხელშეწყობა (მათ შორის ბავშვთა მოვლის სერვისების, მოქნილი სამუშაო გრაფიკის, დღის ცენტრების, საზაფხულო ბაღების და ა.შ. განვითარება); სხვადასხვა სასწავლო კურსების შეთავაზება (მათ შორის პროფესიული განვითარების, ბიზნეს პროექტის წერის კურსი და ა.შ.); ეკონომიკური გაძლიერების და დასაქმების გრძელვადიანი პროგრამების დანერგვა, რომლებიც ოჯახების კეთილდღეობასა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფაზე იქნება ფოკუსირებული;
- ქალთა ოთახის როლის გაძლიერება. მოსახლეობის ხელმისაწვდომობის (მათ შორის გეოგრაფიული) გაზრდა საინფორმაციო-საკონსულტაციო სერვისებზე;
- ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდა (როგორც ფინანსური, ასევე გეოგრაფიული თვალსაზრისით);

ადრეულ ეტაპზე მოწყვლადი ოჯახის იდენტიფიცირება და მხარდაჭერა:

- ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების (განსაკუთრებით სოციალური მუშაკის და ფსიქოლოგის) მერის წარმომადგენლების, სოციალური აგენტების როლის გაზრდა ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის საკითხებზე მოქალაქეებთან კომუნიკაციის და მოწყვლადი, ოჯახში ძალადობის რისკ-ოჯახების იდენტიფიცირების თვალსაზრისით;
- პირველადი ჯანდაცვის რგოლის წარმომადგენლების მგრძნობელობის და ჩართულობის გაზრდა ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის საკითხებისადმი;
- კოორდინირებული მუშაობა რეფერირების სუბიექტებს შორის - ერთიანი სტრატეგიის შემუშავება/განვითარება;

მოძალადეთა ადრეული იდენტიფიცირება პროაქტიული საპოლიციო მოქმედებებით:

- მოძალადეების/პოტენციური მოძალადეების ადრეული იდენტიფიკაცია უბნებში, დასახლებებში უბნის ინსპექტორების, მართლწესრიგის ოფიცრების მხრიდან რეგულარული ვიზიტების განხორციელების და მოსახლეობასთან გასაუბრების, ინფორმაციის შეგროვების და ასევე გაცემის გზით;
- მოსახლეობისთვის კომუნიკაციის უსაფთხო არხის შექმნა, შესაბამის უბნის ინსპექტორთან/მართლწესრიგის ინსპექტორთან ძალადობის მაღალი რისკის მქონე ოჯახების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად;
- პოლიციის მხრიდან ძალადობის მაღალი რისკის მქონე ოჯახის წევრებთან გასაუბრება და მათი ცნობიერების გაზრდა, ქალთა მიმართ ძალადობის დანაშაულებრივ ხასიათზე და სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმებზე.

ადრეულ ეტაპზე მოძალადის ქცევის კორექცია:

- ადრეულ ეტაპზე ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამების დანერგვა და ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის პოტენციური ჩამდენი პირების ამ პროგრამებში ჩართვის უზრუნველყოფა;
- მოძალადეებისთვის, პროფესიონალი ფსიქოლოგების მიერ ფასილიტირებული ურთიერთდახმარების ჯგუფების შექმნა და მათში პოტენციური/მოძალადეების ჩართვის უზრუნველყოფა;
- სოციალური მუშაკების როლის გაზრდა ძალადობის რისკ-ოჯახების მონიტორინგის განხორციელების საქმეში და ოჯახებისთვის ინდივიდუალურ საჭიროებას მორგებული კონსულტაციების გაწევა.

ცნობიერების ამაღლება და კომპეტენციების გაზრდა

- გენდერული სტერეოტიპებისა და ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელება მოსახლეობასთან, მათ შორის, ძალადობაგამოვლილი და კრიზისული ოჯახების წარმომადგენლებისთვის; განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება ოჯახში ძალადობის შესახებ შეტყობინების მნიშვნელობაზე და ქალთა მიმართ ძალადობის მიუღებლობაზე;
- რეფერირების სუბიექტების უწყვეტი გადამზადება ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლენის და მასზე რეაგირების საქმეში საკუთარი როლის და მნიშვნელობის შესახებ და საინფორმაციო კამპანიებში მათი აქტიური ჩართვა;
- ოჯახში ძალადობის შესახებ საინფორმაციო კამპანიების გაძლიერება საგანმანათლებლო დაწესებულებებში (ბაღებში, სკოლებსა და უნივერსიტეტებში), მათ შორის მასწავლებლებისა და აღმზრდელების მუდმივი გადამზადება.